


ჩემი

# სამყარო

შურნალი ახალგაზრდებისათვის



# ქართული ხალხური მუსიკა

## მანია სიგუა


თუკი ვიკითხავთ, რა არის ის, რითაც ქართული კულტურა განსაკუთრებით გამოირჩევა მსოფლიო კულტურებს შორის, რა არის ის, რითაც ყველა ჩვენგანს შეუძლია თამამად იამაყოს, ერთ-ერთი პირველი, რასაც ყველა დაასახელებს, ქართული ხალხური მუსიკა და საეკლესიო საგალობელია. ეს აქსიომაა, რომელსაც ხანდახან მექანიკურადაც კი ვიმეორებთ და, შესაძლოა, არც კი დავფიქრებულვართ, თუ რატომ.

„ერთი დღეა, რაც საქართველოდან დავბრუნდი და რაც უკვე მენატრება, ესაა არაჩვეულებრივი ხალხური სიმღერები, რომელიც იქ ნებისმიერ დროს, ნებისმიერი ადამიანისგან, ნებისმიერ ადგილას შეიძლება გაიგონოთ“, – წერდა ნაცნობი ამერიკელი მუსიკოსი სოციალურ ქსელში და, ვინ იცის, ეს მერამდენე უცხოელია, ვისაც ასეთი რამ აოცებს. არადა, სიმღერა ქართველი ადამიანისთვის ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი და თან განსაკუთრებული ნაწილია.



ხალხური მუსიკა ჩვენთვის მშობლიურია, მთელი ცხოვრება თან გვდევს, ჩვენი ეროვნული იდენტობის ნაწილია და ამიტომაც განსაკუთრებით ძვირფასია, მაგრამ რა აქვს ქართულ ხალხურ სიმღერას ისეთი, რაც ყოველდღიურად იზიდავს შემსრულებლებს, მკვლევრებს, უბრალოდ მოყვარულებს მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან? რა განაპირობებს მათი რიცხვის ყოველწლიურ ზრდას? ამ კითხ-

ვაზე სრულად პასუხის გაცემა ძალზე რთულია ან იქნებ შეუძლებელიც, მაგრამ მაინც ვეცადოთ და ნაწილობრივ მაინც გავერკვეთ, რათა მხოლოდ ბრმად კი არ გვიყვარდეს, არამედ გააზრებულადაც დავაფასოთ მისი შესანიშნავი მხარეები.



ანზორ ერქომაიშვილი

„ხალხური მუსიკა... ოდითგანვე ერის სულიერ საზრდოდ იქცა და ქართველი კაცის სამეურნეო თუ ყოფითი საქმიანობის ყველა სფეროს ორგანულად დაუკავშირდა. სიმღერა იყო ის ამოუცნობი ძალა, რომელიც ადამიანს გაჭირვებას უქარვებდა და ბედის უკუღმართობასთან ბრძოლას უადვილებდა, სასონარკვეთის ჟამს მხნეობასა და სულის სიმტკიცეს მატებდა, ბოროტის ძლევასა და კეთილის გამარჯვებაში ეხმარებოდა. ამიტომაც ქართველი ხალხი, მიუხედავად ისტორიული ბედუკუღმართობისა, დიდი რუდუნებით უვლიდა თავის მრავალსაუკუნოვან და თვითმყოფად მუსიკალურ ენას, მისი დაკარგვა ან დაკნინება მშობლიური ენის შეცვლისა და დაკარგვის ტოლფასად მიაჩნდა“, – კუკური ჭოხონელიძე, ქართველი ეთნომუსიკოლოგი.

მრავალფეროვნება და მრავალხმიანობა – ეს ის ორი უმნიშვნელოვანესი თავისებურებაა, რომლებიც თავის თავში შეიცავენ სხვა შინაგან და გარეგან მახასიათებლებს. ამ წერილში სწორედ მათზე დაყრდნობით მინდა მოგითხროთ ქართულ ტრადიციულ მუსიკაზე\*.

საქართველო პატარა ქვეყანაა. იგი კიდევ უფრო პატარა კუთხეებისაგან შედგება. თითოეულ ამ კუთხეს, საერთო ქართულთან ერთად, მხოლოდ თავისთვის დამახასიათებელი ბუნება, ცხოვრებისა და საქმიანობის წესი, მეტყველების მანერა, ადათები, ტრადიციები, ცეკვა-სიმღერა და ზეპირსიტყ-


\* ქართულ ტრადიციულ მუსიკას უწოდებენ ძველ ფოლკლორულ და საეკლესიო მუსიკას.

ტერმინი დიალექტი ლინგვისტიკაში აღნიშნავს გარკვეული ლიტერატურული ენის არასტანდარტულ ვარიანტს, მის რეგიონულ-კუთხურანსალაპარაკო ფორმას, რომელიც ამავე ენის სხვა დიალექტებისგან გარკვეული რაოდენობის ლექსიკური, სინტაქსური თუ ფონეტიკური თავისებურებებით განსხვავდება. მას იყენებს მოსახლეობის შედარებით მცირე ნაწილი, თუმცა იგი ძირითადად გასაგებია სტანდარტული ენის მატარებლებისთვის.

ვიერება აქვს. მათი ერთობლიობა ქმნის პატარა საქართველოს კულტურის სიდიადეს და განუმეორებლობას.

მეცნიერებაში ხალხური შემოქმედების შესახებ – ფოლკლორისტიკაში – სხვადასხვა კუთხისათვის დამახასიათებელ მღერის მანერას დიალექტს უწოდებენ. ქართულ მუსიკალურ ფოლკლორში 15-დან 17-მდე დიალექტი გამოიყოფა. ესენია: ქართლ-კახური, ხევსურული, ფშაური, თუშური, მოხეურ-მთიულური, გუდამაყრული, მესხური, ჰერული, რაჭული, ლეჩხუმური, სვანური, იმერული, მეგრული, გურული, აჭარულ-შავშური, აფხაზური, ლაზური\*.

თუკი თქვენ თითოეული ამ კუთხისა და დიალექტის თუნდაც ერთ სიმღერას მოუსმენთ, იოლად შენიშნავთ განსხვავებას არა მხოლოდ მათ ხასიათში (დინჯი, მკვირცხლი, ლირიკული თუ ამალღებული), არამედ მუსიკალური ქსოვი-



ჰამლეტ გონაშვილი (1928-1985)

ლის აგებასა და განვითარებაშიც. ამავდროულად, მათ შორის რაღაც საერთოს შემჩნევაც არ გაგიჭირდებათ. ეს „რაღაც საერთო“ ქართულია, განმასხვავებელი კი – თითოეული ამ დიალექტის საკუთარი მახასიათებლები.

აქ დროებით შევჩერდეთ მრავალფეროვნებაზე (მას მოგვიანებით კიდევ დავუბრუნდებით) და ვისაუბროთ მრავალხმიანობაზე – ქართული ტრადიცი-


\* უნდა ითქვას, რომ სხვადასხვა მეცნიერი დიალექტების სხვადასხვაგვარ რაოდენობას და დაჯგუფებებს განიხილავს.

ული მუსიკის მეორე განსაკუთრებულ თვისებაზე.

მრავალხმიანობა, ზოგადად, შეიძლება ყველგან შეგვხვდეს, სადაც მრავალი ადამიანი თავმოყრილი და ერთად ასრულებს რაიმეს. მაგრამ ეს არაორგანიზებული, ანუ მოუნესრიგებელი მრავალხმიანობაა. მოწესრიგებული მრავალხმიანობა, რომელსაც პოლიფონიასაც უწოდებენ, მუსიკალური ხელოვნების ერთ-ერთი უდიდესი მიღწევაა და აი, რატომ: პოლიფონიაში თითოეული ხმა თავისთავად წარმოადგენს ცალკე სრულფასოვან მელოდიურ ხაზს – ჰორიზონტალს. ამავე დროს მათი ერთობლივი ჟღერადობის შედეგად მიიღება ვერტიკალიც, რომელიც ასევე სრულყოფილად და ბუნებრივად უნდა ჟღერდეს. ჰორიზონტალისა და ვერტიკალის ერთიანობით მიიღება დასრულებული



ვარლამ სიმონიშვილის  
გუნდი



ვარტან ერქომაიშვილი  
(1887-1967)

მრავალხმიანი ნაწარმოები, რომლის მთელ სირთულეებს ადამიანი მხოლოდ მაშინ ხვდება, თუკი მას ამ ელემენტების მიხედვით დაანაწევრებს და ყურადღებით დააკვირდება.

ევროპულ მუსიკაში პოლიფონია იმთავითვე ეკლესიის წიაღში განვითარდა და ეს პროცესი დაახლოებით XII-XIII საუკუნეში დაიწყო. ცხადია, ევროპის ქვეყნებს მანამდეც, სასიმღერო ფოლკლორშიც ჰქონდათ მრავალხმიანობის მარტივი ფორმები, მაგრამ პოლიფონია, როგორც ასეთი, ევროპაში დასაბამიდანვე პროფესიული ნიშნით ვითარდებოდა და უმაღლესი მიღწევები ცალკეული ავტორების შემოქმედებაში ჰქონდა. ფრანგების – ლეონინის და პეროტინის, ნიდერლანდური სკოლის ბრწყინვალე წარმომადგენლების – დიუფაის, ოკეგემის, ობრეხტის, იტალიელი პალესტრინას და სხვათა მიერ გაკვალული გზა XVII-

XVIII საუკუნეების მიჯნაზე გენიალური პოლიფონისტის – იოჰან სებასტიან ბახის შემოქმედებით დაგვირგვინდა, რომელიც დღემდე პოლიფონიის უმაღლეს მწვერვალადაა მიჩნეული.

ქართულ ტრადიციულ მუსიკაში კი ეს ყველაფერი შედარებით ადრე დაიწყო და ორგანიზებული მრავალხმიანობის შესახებ წერილობითი დოკუმენტი ქართველმა ფილოსოფოსმა იოანე პეტრიწმა XI საუკუნეში დაგვიტოვა. იგი ქართული საგლობლის სამი ხმის – მზახრის, ჟირისა და ბამის – ჰარმონიულ და განუყოფელ ერთობლიობას ადარებს, არც მეტი არც ნაკლები, მამის, ძისა და სულიწმინდის განუყოფელ ერთობლიობას წმინდა სამებად. ეს ცნობა კი ადასტურებს, რომ საქართველოში XI საუკუნეში უკვე მაღალგანვითარებული პოლიფონია არსებობდა. მეტიც, ავსტრიელ-ბრიტანელი ანთროპოლოგი და მუსიკისმცოდნე ზიგფრიდ ნადელი, რომელიც ქართული ფოლკლორის ერთ-ერთი პირველი უცხოელი მკვლევარი იყო, ქართულ მრავალხმიანობას „ევროპული მრავალხმიანობის საფუძვლად“ მიიჩნევდა და ვარაუდობდა, რომ შესაძლოა დასავლეთ



სოფელ ზემო აკეთის გუნდი „შვიდკაცა“, ანუ ხუხანაშვილები-სგუნდი

ევროპაში მრავალხმიანობა საქართველოდან გავრცელებულიყო. ამავე იდეას იზიარებდა მეორე დიდი მეცნიერიც – მარიუს შნაიდერი. მიუხედავად იმისა, რომ ეს მხოლოდ ვარაუდია, რომელსაც დამტკიცება სჭირდება, იოლად შეამჩნევთ, თუ რა დიდი მსგავსებაა ქართლ-კახურ სიმღერებსა და ადრეულ ევროპულ პოლიფონიას ანდა კორსიკულ ხალხურ და საეკლესიო მრავალხმიანობას შორის, რომელიც დღემდე აქტიურად სრულდება.



ძუკუ ლოლუა (1877-1924)

მრავალხმიანობა იმდენად დამახასიათებელი, ბუნებრივი და ორგანული იყო ქართველისათვის, რომ ყოველდღიური ხალხური ყოფიდან ეკლესიის მკაცრი კანონიკით დაცულ სივრცეში შეიჭრა და არა მარტო დამკვიდრდა, განსაცვიფრებლად მაღალგანვითარებული ნიმუშებიც და, რაც ყველაზე საინტერესოა, ჩანერის, ანუ ნოტირების ორიგინალური სისტემაც დაამკვიდრა.

ეს ყველაფერი იმისათვის დამჭირდა, რომ მეჩვენებინა, თუ რა ძლიერია ქართველი ადამიანის მუსიკალურ აზროვნებაში მრავალხმიანობის წილი. მრავალი ქართველი და უცხოელი მეცნიერის დაკვირვებით როცა ორი ან სამი ქართველი ერთად მღერის, უმეტეს შემთხვევაში ისინი მღერიან ან ცდილობენ იმღერონ სხვადასხვა ხმაში და არა უნისონში – ერთ ხმაში. ცნობილმა ეთნომუსიკოლოგმა იზალი ზემცოვსკიმ არაერთ გამოკვლევაში მიუთითა, რომ მრავალხმიანი მუსიკალური აზროვნება ქართველებისათვის გენეტიკურადაა დამახასიათებელი, ანუ ბუნებრივად თანდაყოლილი თვისებაა. მან ქართველებს ხატოვნად „ჰომო პოლიფონიკუსებიც“ – მრავალხმიანად მოაზროვნე ადამიანები – უწოდა. და თუკი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მრავალხმიანობა მსოფლიო მუსიკალური შემოქმედების ერთ-ერთი უმაღლესი მიღწევაა, ლოგიკურად გამოდის დასკვნა, რომ ქართული ტრადიციული მუსიკაც სწორედ ასეთია.



მაგრამ ეს ყველაფერი არ არის. ახლა კვლავ უნდა დაგუბრუნდეთ მრავალფეროვნებას და ამჯერად ორივე თვისებაზე ერთდროულად ვილაპარაკოთ.



ლადო აღნიაშვილის გუნდი, ლოტბარი ივანე რატილი

საქმე ის გახლავთ, რომ მრავალხმიანობის სხვადასხვაგვარი სახე არსებობს, ქართული ფოლკლორის მრავალხმიანობაც მრავალფეროვანია. ამ პატარა ტერიტორიაზე გვხვდება როგორც მრავალხმიანობის ჩანასახოვანი ფორმები, ისე უკიდურესად განვითარებული ოთხხმიანი ნიმუშები. ამგვარად, დღესაც კი შესაძლებელია იოლად წარმოვიდგინოთ ქართული მრავალხმიანობის განვითარების ისტორიული გზა, თუკი ერთმანეთს შევადარებთ ხევისურულ ან ფშაურ ერთხმიან ჰანგებს და დასავლეთ საქართველოს ბარის, განსაკუთრებით კი, გურიის ურთულეს პოლიფონიას. პირველ შემთხვევაში, როგორც მკვლევრები წერენ, მოცემული გვაქვს ერთხმიანი, მაგრამ ხშირად ე.წ. „კონტაქტური“ მელოდიები (რაც ნიშნავს იმას, რომ ისინი თავის თავში შეი-


იმპროვიზაცია მუსიკალური შემოქმედების განსაკუთრებული სახეა, მას ახასიათებს შემოქმედებითი თხზვა უშუალოდ შესრულების პროცესში. იგი მომდინარეობს ხალხური შემოქმედებიდან, დღესდღეობით აქტიურად გამოიყენება ჯაზში.

(ცავენ გაორხმეიანების აშკარა რესურსს), ხოლო მეორე შემთხვევაში, გურულ სიმღერებში, მუსიკალური ხაზის განვითარება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ტექსტიც კი უკანა პლანზე იწევს. მაგალითად, გურულებს შეუძლიათ მთელი მუსიკალური ფრაზა ააგონ ერთი მარცვლის გამღერებაზეც კი, ანდა ხანდახან ტექსტად გამოიყენონ ერთმანეთთან სრულიად დაუკავშირებელი წინადადებები და შექმნან ფანტასტიკური პოლიფონიური იმპროვიზაცია.<sup>4</sup>

ეს უკანასკნელი და მუსიკაში ძალზე დაფასებული თავისებურება ფოლკლორის კიდევ ერთი დამახასიათებელი თვისებაა. ეს ბუნებრივია: უძველესმა ხალხურმა შემოქმედებამ ხომ ჩვენამდე ზეპირი ტრადიციის წყალობით მოაღწია. ეს კი ნიშნავს, რომ თუკი შეგირდი ოსტატისაგან რაიმე სიმღერას სწავლობდა, იგი აუცილებლად რაღაც ახალს, მისეულს მატებდა მას და დახელოვნებული მომღერლებიც ერთსა და იმავე სიმღერას ყოველ ჯერზე სხვადასხვანაირად მღეროდნენ – იმპროვიზაციას აკეთებდნენ. სიმღერის ძირითადი აღნაგობა უცვლელი რჩებოდა, იცვლებოდა მხოლოდ დეტალები. დღეს ჩვენამდე მოღწეულია ერთი სიმღერის რამდენიმე სხვადასხვა ვარიანტი, რომლებსაც ამა თუ იმ ცნობილი ფოლკლორული მომღერლის ან ლოტბარის სახელი ჰქვიათ, მაგალითად, „დედას ლევანას ვარიანტი“, „არტემ ერქომიშვილის ვარიანტი“, „ძუკუ ლოლუას ვარიანტი“ და ა.შ. იმპროვიზაციულობა კი განაპირობებს მრავალფეროვნებას არა მხოლოდ ქართული ფოლკლორისა ზოგადად, არამედ ერთი სიმღერის შესრულებისასაც კი.



მიხეილ ხავთასის გუნდი




დედას ლევანა – ლევან ასაბაშვილი

დავუბრუნდეთ მრავალხმიანობის მრავალფეროვნებას. ქართულ ტრადიციულ მუსიკას ახასიათებს თითქმის ყველა ტიპის მრავალხმიანობა. ძირითადად გამოყოფენ სამ ნაირსახეობას: ბურდონულს, როცა გაბმული ბანის ფონზე ზედა ორი ხმა იმპროვიზაციულად ასრულებს ძირითად ჰანგსა და ტექსტს. ამ ტიპის მრავალხმიანობა განსაკუთრებით



ქართლ-კახური სიმღერებისთვისაა დამახასიათებელი და მასვე მიეკუთვნება ცნობილი კახური სუფრული სიმღერა „ჩაკრულო“; კომპლექსურ-

1977 წელს ავტომატურ საპლანეტაშორისო სადგურებზე გაუშვეს გრამფირფიტა სახელწოდებით „დედამინის ხმები“, ზედ ჩანერილი სხვადასხვაგვარი ინფორმაციით კაცობრიობის შესახებ. ჩანანერი განკუთვნილი იყო კოსმოსში შესაძლო არსებული ცივილიზაციებისათვის და მიზნად ისახავდა მათთვის დედამინის შესახებ წარმოდგენის მიცემას. კაცობრიობის მიერ ყველა დროს შექმნილ შედეგებს შორის, ამერიკელი მუსიკოლოგის ალან ლომაქსის ძალისხმევითა და შერჩევით, ამ ფირფიტაზე კახური „ჩაკრულოც“ მოხვდა.



პარალელურს, როცა ყველა ხმა თანაბარი მანძილით ერთნაირად მოძრაობს და ასეთ მრავალხმიანობას ყველაზე ხშირად სვანურ დიალექტში ვხვდებით, მაგალითად, შეიძლება გაიხსენოთ ცნობილი მზის სადიდებელი „ლილე“ და პოლიფონიის ერთ-ერთ ყველაზე რთულ ტიპს – კონტრასტულ მრავალხმიანობას. იგი ძირითადად დასავლეთ საქართველოს დიალექტებში გვხვდება და მისთვის დამახასიათებელია სამივე ხმის ერთმანეთისგან განსხვავებული მოძრაობა – ცალ-ცალკე წარმოად-



ქართული ხალხური სიმღერის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი ანზორ კავსადის ხელმძღვანელობით, ასრულებს „ჩაკრულოს“, სოლისტები ილია ზაქაიძე და როსტომ საგინაშვილი.

გენენ რა სრულფასოვან ჰანგს, ისინი ერთმანეთს სულაც არ ჰგვანან, მაგრამ ვერტიკალში მწყობრ და ჰარმონიულ მთლიანობას ქმნიან. კონტრასტული მრავალხმიანობის ბრწყინვალე ნიმუშებს გურულ ფოლკლორში ვხვდებით, ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ნიმუში „ხასანბეგურაა“.

„ბოლო დროის ჩემი ერთ-ერთი უდიდესი შთაბეჭდილება იყო შონბერგის „იაკობის კიბე“ და ქართული ხალხური პოლიფონიური სიმღერების ჩანაწერები. მუსიკის აქტიური შესრულების ეს ტრადიცია, სათავეს უძველესი დროიდან რომ იღებს, შესანიშნავი მიგნებაა, რომელიც შესრულებისთვის გაცილებით მეტს იძლევა, ვიდრე თანამედროვე მუსიკის ყველა მონაპოვარი... იოდლი, რომელსაც საქართველოში „კრიმანჭული“ ეწოდება, საუკეთესოა, რაც კი ოდესმე მსმენია“ – იგორ სტრავინსკი, ახალი მუსიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი კომპოზიტორი.

ეს ჩამონათვალი სულაც არ ნიშნავს, რომ ქართულ მუსიკალურ დიალექტებში მხოლოდ ერთი რომელიმე ტიპის მრავალხმიანობაა გავრცელებული. როგორც წესი, პირიქით, მათში ხშირადაა შერწყმული სწორედ სხვადასხვა ტიპის მრავალხმიანობის თვისებები. ეს მუსიკას უფრო მრავალფეროვანსა და საინტერესოს ხდის.

დასაწყისში აღვნიშნე, რომ ქართული დიალექტების მუსიკალური თვისებებისათვის თვალის გადავინება კარგად გვაჩვენებს იმ ისტორიულ პროცესებს, რომელიც ჩვენმა მრავალხმიანობამ უძველესი დროიდან დღემდე გამოიარა. იმავეს გამეორება შეგვიძლია, თუ დავაკვირდებით მუსიკალური ფოლკლორის ჟანრებსაც. მათი წყალობით იოლად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ როგორ ცხოვრობდნენ, აზროვნებდნენ, რისი სჯეროდათ ჩვენს შორეულ წინაპრებს. ცნობილი ქართველი ეთნომუსიკოლოგი კუკური ჭოხონელიძე წერს, რომ ქართულ ხალხურ მუსიკალურ შემოქმედებაში „მაღალგანვითარებულ, მსოფლიო შედეგებად აღიარებულ სასიმღერო ნიმუშებთან ერთად შორეული საუკუნეებიდან მომდინარე არქაული შრეებიცაა შემორჩენილი, რაც მუსიკალური აზროვნების ისტორიული განვითარების ცალკეულ ეტაპებზე თვალის გადავინების საშუალებას იძლევა. საქართველოში დღემდე შეინიშნება უძველესი სარწმუნოების კვალი... ქართულ სოფელში დღესაც კი შეიძლება მოისმინოთ მაგიური შელოცვები, ამინდის ღვთაების სადიდებელი საგალობლები, აგრარული ღვთაებისადმი მიმართული მოწოდება, მზის სადიდებელი ჰიმნი, მაგიურ ძალთა საამებლად განკუთვნილი ვედრებანი\* და სხვა. მათი შესწავლა საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ, თუ როგორ ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპრები 2-3 ათასი წლის წინ“.

ცნობილია რომ, ფრანგული სიტყვა „ჟანრი“ სახეობას, გვარს ნიშნავს. მის სრულყოფილ განმარტებაზე დღემდე მუშაობენ მეცნიერები. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენ მას ვიყენებთ გარკვეული დანიშნულების მქონე სიმღერების ერთობლიობის აღსანიშნავად, მაგალითად, აკვნის ნანას ჟანრი, სუფრული, შრომის ან საწესჩვეულებო ჟანრები და სხვ.

\* მაგალითად: „ლაზარე“ – წვიმის ან დარის „მომყვანი“ სიმღერა; „აგუნა“ – მეღვინეობის ღვთაების მოხმობა; მზისადმი მიძღვნილი „ლილე“; ბატონების „საბოდიშო“, „ია-ბატონებო“ ან „ღვთის კარზე სათქმელი იავნანა“ და სხვები.

დაბოლოს, მინდა იცოდეთ, რომ ის, რაც ზემოთ წაიკითხეთ, მხოლოდ ძალიან განზოგადებული და მცირე ნაწილია იმ დიდი და უაღრესად საინტერესო ინფორმაციისა, რომელიც დღეს უკვე ძალიან იოლად შეგიძლიათ ქართული ხალხური სიმღერის შესახებ მოიპოვოთ. ეს ინფორმაცია კი კიდევ უფრო გააღრმავებს ჩვენი დიდი წინაპრებისა და ნამდვილი ტრადიციებისადმი პატივისცემას, ოღონდ გააღრმავებს არა ბრმად და იმიტომ, რომ „ასეა საჭირო“, არამედ შეგნებულად, გააზრებულად. თუკი თქვენ, ახალგაზრდა მკითხველი, ბევრს მოუსმენთ ჩვენს ტრადიციულ მუსიკას, აუცილებლად შეიყვარებთ მას და იოლად შეძლებთ გამოარჩიოთ დღეს სამწუხაროდ პოპულარული, ძალზე საეჭვო ღირებულების „გათანამედროვეებული ვერსიები“, სინამდვილეში კი – „ფალსიფიცირებული“ ფოლკლორის ხალხური შემოქმედების ნამდვილი მარგალიტებისაგან, რომელიც ჩვენამდე უცნობმა წინაპრებმა ან ცნობილმა ფოლკლორულმა მომღერლებმა მოიტანეს და რომლითაც სამართლიანად და თამამად შეგვიძლია ვიამაყოთ.



ანდრო სიმაშვილი



ანსამბლი ქართული ხმები

ქართული სიმღერის „მარგალიტები“, რომლებიც დღემდე აოცებს და აღაფრთოვანებს მსოფლიოს სულ უფრო მეტ ნაწილს, მეოცე საუკუნის დასაწყისში დიდი ფოლკლორული მომღერლების: ძუკუ ლოლუას, სამუელ ჩავლეიშვილის, სანდრო კავსაძის, გიგო და არტემ ერქომაიშვილების, ივანე მარგიანის, ლევან მულალაშვილის და სხვათა მიერ იქნა ზეპირი ტრადიციით შემონახული და თავიანთი საქმის ერთგული მუსიკოსების მიერ ჩაწერილი და დაცული. ფოლკლორული ანსამბლები დღესაც მათი აუდიოჩანაწერებით ანდა ძველი, ზეპირი ტრადიციით სწავლობენ მოხუცი ოსტატების: ანდრო სიმაშვილის, პოლიკარპე ხუბულავას, ისლამ ფილფანის, გური და ტრისტან სიხარულიძეების, ოთარ ბერძენიშვილის და სხვათაგან.